27/02/2024

მიტროპოლიტმა ანტონიმ მონაწილეობა მიიღო ინდოეთში მოციქულ თომას მოწამეობრივი ღვაწლის 1950 წლის აღსანიშნავ ღონისძიებებში

2024 წლის 25 თებერვალს ქალაქ კოტაიამში (კერალას შტატი, ინდოეთი) გაიმართა სამახსოვრო ღონისძიებები წმინდა თომა მოციქულის მოწამებრივი აღსასრულის 1950 წლისთავის აღსანიშნავად. მის ხსოვნას ქრისტიანები განსაკუთრებულად აღნიშნავენ ინდოეთის მალაბარის სანაპიროზე, სადაც წმინდა მოციქული 52 წელს ჩავიდა და იმ ადგილებში პირველი საეკლესიო თემი დააარსა.

ზეიმი დაიწყო ღვთისმსახურებით, რომელიც მალანკარის ეკლესიის წინამძღვარმა და წმინდა სინოდის წევრებმა აღასრულეს. შემდეგ კოტაიამის ქუჩებში მრავალათასიანი ჯვაროსნული მსვლელობა მოეწყო სამღვდელოებისა და ერისკაცების მონაწილეობით. ზეიმის კულმინაცია გახდა შეკრება ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე, რომელშიც ასი ათასზე მეტი მომლოცველი იღებდა მონაწილეობას.

ღონისძიებაში საპატიო სტუმრების რანგით მონაწილეობდნენ: მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე,

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი; ეთიოპიის ეკლესიის წარმომადგენელი, გურაგის მთავარეპისკოპოსი მელქისედეკი; კერალის შტატის გუბერნატორი არიფ მუჰამედ კხანი; გოას შტატის გუბერნატორი პ.ს. სრიდხარანი პილეი; კერალის კოოპერატიული საზოგადოებების მინისტრი ვ.ნ. ვასავანი; კერალის ჯანდაცვის მინისტრი ვინა ჯორჯი; ქ. კოტაიამის საკანონმდებლო კრების წევრი ტირუვანკორ რადკხაკრიშნანი; ქ. პუტუპალის საკანონმდებლო კრების წევრი ჩადი ომენი და სხვა პირები.

მიტროპოლიტ ანტონის თან ახლდნენ სსკგ-ის მდივანი ქრისტიანთაშორისი ურთიერთობის საკითხებში მღვდელმონაზონი სტეფანე (იგუმნოვი) და სსკგ-ის თავმჯდომარის მდივანი დიაკონი ნიკოლოზ ვასინი.

შეხვედრაზე გამომსვლელებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ინდოეთის საზოგადოების ცხოვრებაში ასრულებს წმინდა თომა მოციქულის მემკვიდრეობის მცველი მალანკარის ორთოდოქსალური სირიის ეკლესია. მისი წინამძღვარი, უწმინდესი კათალიკოსი ბასილი მარ თომა მათე III განსაკუთრებით მიესალმა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონის. მალანკარის კათოლიკოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მრავალი ათწლეულის განმავლობაში ინდოელი ქრისტიანების ერთგული მეგობარია. მისმა უწმინდესობამ გულწრფელი მადლიერება გამოთქვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს მიმართ, ორ ეკლესიას შორის დიალოგის განვითარებისადმი მისი პირადი ყურადღებისთვის.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ. იგი ზეიმის მონაწილეებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის სახელით მიესალმა. მეუფემ აღნიშნა წმინდა თომა მოციქულის მნიშვნელობა ინდოეთისთვის: „როდესაც ჩვენი უფლის თორმეტმა უახლოესმა მოწაფემ სახარების ქადაგება დაიწყო მთელი დედამიწის ზურგზე, მოციქულმა თომამ ყველაზე შორეული გზა გაიარა და ინდოსტანის მალაბარის სანაპიროზე მივიდა, სადაც ის კაცთა მესათხევლე გახდა (მთ. 4:19), მოისროლა თავისი ბადე და მდიდარი ნადავლი მიიღო. სხვა მოციქულების მსგავსად, წმინდა თომაც დიდი ძალით მოწმობდა უფალ იესო ქრისტეს აღდგომას (საქ. 4:33). ინდოეთის მიწაზე მან დააარსა ქრისტიანული თემი, რომელიც დღემდე მოქმედებს“.

როგორც მიტროპოლიტმა ანტონიმ აღნიშნა, მოციქული თომა არის ინდოელი ხალხის მფარველი წმინდანი, რომელმაც მრავალი განსაცდელი გადაიტანა ინდოეთის მიწაზე ქრისტიანობის თითქმის ორათასწლიანი ისტორიის მანძილზე. მიუხედავად მრავალი უცხო ძალის ჩარევისა, ინდოელმა ქრისტიანებმა შეძლეს საკუთარი იდენტობის, საღვთისმსახურო ტრადიციისა და ენის შენარჩუნება.

საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ

მალანკარის ორთოდოქსალური სირიული ეკლესია, როგორც ინდოეთის ძირძველი ქრისტიანული თემი, ღირსეულ ადგილს იკავებს ინდოეთის საზოგადოების ცხოვრებაში, ხელს უწყობს კონფესიათაშორის დიალოგს და რელიგიათაშორის მშვიდობას.

„არ შემიძლია არ აღვნიშნო ძმური ურთიერთობების უპრეცედენტო დონე რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და მალანკარის ეკლესიას შორის, რომლებსაც კეთილი ისტორია აქვთ და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჩვენს ხალხებს შორის კავშირების განმტკიცებაში“, – აღნიშნა იერარქმა.

დასასრულ, სსკგ-ის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მალანკარის ეკლესიის [illegible] ვევისთვის [illegible] ლანკარის



LIVE GREGORIAN TV
www.gregoriantv.com

ലങ്കര ഓർത്തഡോക്സ് സുറിയാനി സഭ
MALANKARA ORTHODOX SYRIAN CHURCH | MARTHOMAN HERITAGE ASSEMBLY
മാർത്തോമ്മൻ
പൈതൃക
സംഗമം
മാർത്തോമ്മൻ
പൈതൃക
സംഗമം

മലങ്കര ഓർത്തഡോക്സ് സുറിയാനി സഭ
MALANKARA ORTHODOX SYRIAN CHURCH | MARTHOMAN HERITAGE ASSEMBLY

LIVE GREGORIAN TV
മലങ്കര ഓർത്തഡോക്സ് സുറിയാനി സഭ

ത്തഡോക്സ് സുറിയാനി സഭ
ARA ORTHODOX SYRIAN CHURCH | MARTHOMAN HERITAGE ASSEMBLY

mospat.ru